

## მოთხოვნა ინტერესის გამოსახატად

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი

სესხის/კრედიტის № IBRD 8547-GE

პროექტის №: P149952

დავალების დასახელება: შესყიდვების კონსულტანტი

კონტრაქტის ნომერი: EWHCIP/CS/ICS-04

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, მასთან დაკავშირებული მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით განხორციელდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ შესყიდვების კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად ზემოხსენებული საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ რეზიუმე (CV), რომლითაც დასტურდება დავალებისთვის საჭირო კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება აღნიშნული მომსახურების გასაწევად.

**კონსულტანტის შერჩევისთვის განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და მრავალმხრივი განვითარების ბანკის (WB, ADB, EIB, EBRD) მიერ დაფინანსებულ პროექტებში შესყიდვების განხორციელებაში;
- მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში შესყიდვების გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და მრავალმხრივი განვითარების ბანკის (MDB) შესყიდვების პროცედურების/რეგულაციების ტრენინგებზე დასწრება და მონაწილეობა (სასურველია მსოფლიო ბანკის) ჩაითვლება უპირატესობად;
- ინგლისური და ქართული ენების უმაღლეს დონეზე ცოდნა;
- ინგლისურ და ქართულ ენებზე ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის და ანგარიშების მომზადების უნარი;
- სტანდარტული კომპიუტერული პროგრამების პროფესიონალურ დონეზე ცოდნა, მათ შორის MS Office.

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი უფლებას იტოვებს გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

კონტრაქტით გათვალისწინებული დავალების შესრულების სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს მოვალეობების დამაკმაყოფილებლად შესრულების შემთხვევაში.

შესყიდვა/შერჩევა უნდა განხორციელდეს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების შესაბამისი საინვესტიციო პროექტების დაფინანსების (IPF) მსესხებლის რეგულაციების ან მსოფლიო ბანკის შესყიდვების განახლებული სახელმძღვანელოს მიხედვით.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ. ფოსტით: [info@georoad.ge](mailto:info@georoad.ge)

ინტერესის გამოხატვა კონსულტანტის რეზიუმესთან (CV) და სხვა შესაბამის ინფორმაციასთან ერთად, ბეჭდური სახით ან ელექტრონულად, წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2022 წლის 19 აგვისტოს 15:00** საათისა.

საკონტაქტო პირი: სალომე წურწუშია

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი #12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ. ფოსტა: [info@georoad.ge](mailto:info@georoad.ge)

ვებ-გვერდი: [www.georoad.ge](http://www.georoad.ge)